

შპს „ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შპს “ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო”

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში4
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში5
კაპიტალის მოძრაობის ანგარიში.....6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში7

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:

სარჩევი

1. შპს „ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო“ და მისი საქმიანობა	12
2. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა	12
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები, და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში	19
4. ძირითადი საშუალებები	20
6. ფული და ფულის ექვივალენტები.....	21
7. სავაჭრო მოთხოვნები	21
8. გადახდილი ავანსები	22
9. საწესდებო კაპიტალი	22
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22
11. სასესხო ვალდებულებები	23
12. ამონაგები.....	24
13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	24
14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	25
15. პირობითი ვალდებულებები.....	25
16. ფინანსური რისკების მართვა.....	26
17. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან.....	29
18. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება	29
19. ბალანსის შედგენის შემდეგ მომხდარი მოვლენები	31

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო“-ს („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და საწესდებო კაპიტალში ცვლილებებს 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, მის ფასს სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მის ფასს შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 29 იანვარი

დირექტორი

ანზორ მამულაძე

29 იანვარი 2025 წელი
საქართველო, ბათუმი

მთავარი ბუღალტერი

ნელი ზაქარაძე

დამოუკიდებელ აუდიტორის დასკვნა

შპს “ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო“-ს დამფუძნებლებსა და დირექტორებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს “ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი მოსაზრებით, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველში აღწერილი საკითხებისა, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიას არ ჩაუტარებია სასაქონლო-მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებობაში და ფიზიკურ კონდიციაში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს შესაბამისად 1,356,454, 957,107 და 581,970 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (IESBA კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც IESBA კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია - კომპანიის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

კომპანიის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ვალდებულები ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ჩვენ 2023 წლის აუდიტის ფარგლებში ჩავატარეთ აგრეთვე მე-18 შენიშვნაში აღწერილი შესწორებების აუდიტი, რომლებიც განხორციელდა 2022 წლის 31 დეკემბრს და 2022 წლის 1 იანვრის, ფინანსური ანგარიშგების შესწორებისთვის. ჩვენი აზრით მასგავსი შესწორებები მიზანშეწონილია და სწორად არის გაკეთებული. ჩვენ არ დავუნიშნავთ 2022 წლის 31 დეკემბრს და 2022 წლის 1 იანვრის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, მიმოხილვის ან მასზე რაიმე პროცედურის ჩასატარებლად, გარდა აღნიშნული შესწორებებისა და, შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ან რაიმე სხვა სახის რწმუნებას მთლიანად 2022 წლის 31 დეკემბრს და 2022 წლის 1 იანვრის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა გარემოებები

ფინანსური ანგარიშგების შესადარისი ინფორმაცია 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არ არის აუდიტირებული.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის დასაბუთებული რწმუნებულება, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით ან/და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, გავცეთ ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი აუდიტორული დასკვნა. დასაბუთებული რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის. რისკი იმისა რომ ვერ აღმოვაჩინოთ თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა მეტია ვიდრე ალბათობა იმისა, რომ ვერ შევამჩნიოთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით.
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას.
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.
- ვაკეთებთ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება. იმავდროულად, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ექვეყნე დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარს განმარტებების ჩათვლით და იმას, თუ რამდენად ობიექტურად წარმოადგენს ანგარიშგება ძირითად მოვლენებსა და ტრანზაქციებს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული მმართველობის ანგარიშგება

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს

გარიგების პარტნიორის სახელით

მაია ფეიქრიშვილი (SARAS-A-965293)

შპს „პრესტიჟ-აუდიტი“ (SARAS-F-638065)



29 იანვარი 2025 წელი

საქართველო, ბათუმი

შპს „ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო“

ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022 გადაანგარიშებული	01.01.2022 გადაანგარიშებული
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	9,297,987	7,554,173	7,667,604
სხვა არამატერიალური აქტივები		11,554	4,371	4,010
გრძელვადიანი სასესხო მოთხოვნა		5,938	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,315,478	7,558,544	7,671,614
გადახდილი ავანსები	8	187,423	418,064	223,598
სავაჭრო მოთხოვნები	7	316,402	211,992	117,199
მარაგები	5	1,356,454	957,107	581,970
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-	22,536
ფული და ფულის ექვ.	6	670,386	797,832	331,726
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,530,665	2,384,995	1,277,028
სულ აქტივები		11,846,144	9,943,539	8,948,642
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	11	4,593,560	3,932,003	5,052,847
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,593,560	3,932,003	5,052,847
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	211,502	123,959	81,834
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	11	1,359,634	1,040,733	1,341,549
საგადასახადო ვალდებულება		104,422	48,073	106,779
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		14,052	13,298	16,580
ხელფასის ვალდებულება		78,648	100	31,139
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,768,257	1,226,163	1,577,882
სულ ვალდებულებები:		6,361,817	5,158,167	6,630,729
საკუთარი კაპიტალი:				
საწესდებო კაპიტალი	9	880,509	1,616,509	1,695,559
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		4,603,817	3,168,863	622,355
სულ საკუთარი კაპიტალი:		5,484,326	4,785,372	2,317,914
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:		11,846,144	9,943,539	8,948,642

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ანზორ მამულაძე

ნელი ზაქარაძე

29 იანვარი 2025 წელი
საქართველო, ბათუმი

შპს „ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო“

მოგება-ზარალის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	12	8,292,963	7,411,661
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(5,784,539)	(4,743,824)
საერთო მოგება		2,508,424	2,667,837
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	14	(470,308)	(363,237)
საოპერაციო მოგება		2,038,116	2,304,600
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან		(129,952)	776,418
ფინანსური შემოსავალი		799	-
საპროცენტო ხარჯი		(366,613)	(399,815)
საქვო მოთხოვნების ხარჯი		(31,126)	(6,642)
მარაგის გაუფასურების ხარჯი		(49,595)	(65,619)
არასაოპერაციო ხარჯი		(69,743)	(66,037)
არასაოპერაციო შემოსავლი		43,067	3,603
მოგება		1,434,954	2,546,509

დირექტორი

ანზორ მამულაძე



მთავარი ბუღალტერი

ნელი ზაქარაძე

(Handwritten signature of Neli Zakariaze)

29 იანვარი 2025 წელი

საქართველო, ბათუმი

შპს „ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	(დაგროვილი ზარალი)/ გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2022 მდგომარეობით	1,695,559	622,355	2,317,914
საწესდებო კაპიტალი ზრდა/შემცირება	(79,050)		(79,050)
მოგება წლის განმავლობაში		2,546,509	2,546,509
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,616,509	3,168,863	4,785,372
საწესდებო კაპიტალი ზრდა/შემცირება	(736,000)		(736,000)
მოგება წლის განმავლობაში		1,434,954	1,434,954
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	880,509	4,603,817	5,484,326

დირექტორი

ანზორ მამულაძე

მთავარი ბუღალტერი

ნელი ზაქარაძე

29 იანვარი 2025 წელი

საქართველო, ბათუმი

შპს „ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	5,849,337	5,618,429
მომწოდებლებსა გადახდილი ფულადი სახსრები	(2,224,546)	(672,719)
დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(2,684,207)	(2,437,604)
მიღებული დაფინანსება	36,929	-
გადახდილი გადასახადები	(830,993)	(910,039)
სხვა	(14,654)	(8,556)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	131,867	1,589,511
საინვესტიციო საქმიანობა		
სესხის გაცემა	(7,500)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(7,500)	-
საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	1,873,625	1,267,005
კაპიტალის შემცირება	(736,000)	(79,050)
სესხის ძირის გადახდა	(1,020,571)	(1,944,534)
სესხის პროცენტის გადახდა	(365,054)	(371,914)
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(248,001)	(1,128,493)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე და მის ეკვივალენტებზე	(3,812)	5,087
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	(127,446)	466,105
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	797,832	331,726
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	670,386	797,832

დირექტორი

ანზორ მამულაძე

მთავარი ბუღალტერი

ნელი ზაქარაძე

29 იანვარი 2025 წელი

საქართველო, ბათუმი

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო“-ს („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და საწესდებო კაპიტალში ცვლილებებს 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 29 იანვარი

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ანზორ მამულაძე -----

ნელი ზაქარაძე -----

29 იანვარი 2025 წელი
საქართველო, ბათუმი

შპს „ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო“

ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022 გადაანგარიშებული	01.01.2022 გადაანგარიშებული
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	9,297,987	7,554,173	7,667,604
სხვა არამატერიალური აქტივები		11,554	4,371	4,010
გრძელვადიანი სასესხო მოთხოვნა		5,938	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,315,478	7,558,544	7,671,614
გადახდილი ავანსები	8	187,423	418,064	223,598
სავაჭრო მოთხოვნები	7	316,402	211,992	117,199
მარაგები	5	1,356,454	957,107	581,970
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-	22,536
ფული და ფულის ექვ.	6	670,386	797,832	331,726
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,530,665	2,384,995	1,277,028
სულ აქტივები		11,846,144	9,943,539	8,948,642
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	11	4,593,560	3,932,003	5,052,847
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,593,560	3,932,003	5,052,847
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	211,502	123,959	81,834
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	11	1,359,634	1,040,733	1,341,549
საგადასახადო ვალდებულება		104,422	48,073	106,779
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		14,052	13,298	16,580
ხელფასის ვალდებულება		78,648	100	31,139
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,768,257	1,226,163	1,577,882
სულ ვალდებულებები:		6,361,817	5,158,167	6,630,729
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	9	880,509	1,616,509	1,695,559
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		4,603,817	3,168,863	622,355
სულ საკუთარი კაპიტალი:		5,484,326	4,785,372	2,317,914
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:		11,846,144	9,943,539	8,948,642

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ანზორ მამულაძე -----

ნელი ზაქარაძე -----

29 იანვარი 2025 წელი

საქართველო, ბათუმი

შპს „ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო“

მოგება-ზარალის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	12	8,292,963	7,411,661
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(5,784,539)	(4,743,824)
საერთო მოგება		2,508,424	2,667,837
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	14	(470,308)	(363,237)
საოპერაციო მოგება		2,038,116	2,304,600
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან ფინანსური შემოსავალი		(129,952) 799	776,418 -
საპროცენტო ხარჯი		(366,613)	(399,815)
საქვო მოთხოვნების ხარჯი		(31,126)	(6,642)
მარაგის გაუფასურების ხარჯი		(49,595)	(65,619)
არასაოპერაციო ხარჯი		(69,743)	(66,037)
არასაოპერაციო შემოსავალი		43,067	3,603
მოგება		1,434,954	2,546,509

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ანზორ მამულაძე -----

ნელი ზაქარაძე -----

29 იანვარი 2025 წელი

საქართველო, ბათუმი

შპს „ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	(დაგროვილი ზარალი)/ გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2022 მდგომარეობით	1,695,559	622,355	2,317,914
საწესდებო კაპიტალი ზრდა/შემცირება	(79,050)		(79,050)
მოგება წლის განმავლობაში		2,546,509	2,546,509
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,616,509	3,168,863	4,785,372
საწესდებო კაპიტალი ზრდა/შემცირება	(736,000)		(736,000)
მოგება წლის განმავლობაში		1,434,954	1,434,954
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	880,509	4,603,817	5,484,326

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ანზორ მამულაძე -----

ნელი ზაქარაძე -----

29 იანვარი 2025 წელი

საქართველო, ბათუმი

შპს „ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	5,849,337	5,618,429
მომწოდებლებსა გადახდილი ფულადი სახსრები	(2,224,546)	(672,719)
დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(2,684,207)	(2,437,604)
მიღებული დაფინანსება	36,929	-
გადახდილი გადასახადები	(830,993)	(910,039)
სხვა	(14,654)	(8,556)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	131,867	1,589,511
საინვესტიციო საქმიანობა		
სესხის გაცემა	(7,500)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(7,500)	-
საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	1,873,625	1,267,005
კაპიტალის შემცირება	(736,000)	(79,050)
სესხის ძირის გადახდა	(1,020,571)	(1,944,534)
სესხის პროცენტის გადახდა	(365,054)	(371,914)
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(248,001)	(1,128,493)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე და მის ეკვივალენტებზე	(3,812)	5,087
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	(127,446)	466,105
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	797,832	331,726
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	670,386	797,832

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ანზორ მამულაძე -----

ნელი ზაქარაძე-----

29 იანვარი 2025 წელი

საქართველო, ბათუმი

შპს „ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1. შპს „ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო“ და მისი საქმიანობა

შპს „ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო“ ფუნქციონირებს 2014 წლის 17 სექტემბრიდან ქალაქ ბათუმში.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უშუალო მფლობელია.

ფიზიკური პირი გოდერძი ნაკაშიძე -100%

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს სტომატოლოგიური მომსახურეობა და მედიკამენტების რეალიზაცია.

კომპანია არის სტომატოლოგიური მომსახურეობის ერთ-ერთ მსხვილი მიმწოდებელი ბაზარზე, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს სწრაფად მზარდ, უპირატესად კერძო საკუთრებაში მყოფ ეკოსისტემას. კომპანია მომხმარებელს სთავაზობს სხვადასხვა სერვისს, ის გამოირჩევა სტაციონარული და ამბულატორიული სერვისების მრავალფეროვნებით. კომპანიის მიერ შეთავაზებული სერვისები გათვლილია ფართო საზოგადოებაზე.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ბათუმი, ვახტანგ გორგასლის ქ., N163, სართული 1, არასაცხოვრებელი ფართი N1

ფაქტიური მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის ფაქტიური მისამართია: საქართველო, ბათუმი, ვახტანგ გორგასლის ქ., N163, სართული 1, არასაცხოვრებელი ფართი N1

ანგარიშგების ვალუტა. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

2. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები. ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის წლიურ ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს).

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეულ კრიტიკულ საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული მსჯელობების წარმართვას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც მსჯელობის ან კომპლექსურობის მაღალ ხარისხს შეიცავს, ასევე სფეროები, რომლებშიც ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოიცავს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ფინანსური ინსტრუმენტები – გაზომვის ძირითადი პირობები.

შპს „ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

მსს ფასს მე-11 განყოფილების მიხედვით - „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები“, საწარმო ძირითად ფინანსურ აქტივებსა და ძირითად ფინანსურ ვალდებულებებს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

- თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;
- გამოკლებული ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;
- მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და
- გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

იმისათვის, რომ საწარმომ შეაფასოს, ამა თუ იმ მოთხოვნის შესრულებას დასჭირდება თუ არა მიზანშეუწონელი დანახარჯები ან ძალისხმევა ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარებისას, მაგალითად მსს სტანდარტზე გადასვლის თარიღისთვის, იგი უნდა დაეყრდნოს თავდაპირველი აღიარების მომენტისთვის ამ მოთხოვნასთან დაკავშირებულ დანახარჯებსა და სარგებელს. თუ მიზანშეუწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის მიზეზით განთავისუფლება შეეხება თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდსაც, მაგალითად მუხლის შემდგომ შეფასებას, მაშინ ამ შემდგომი თარიღისთვის ხელახლა უნდა შეფასდეს მიზანშეუწონელი დანახარჯები ან ძალისხმევა, მოცემული თარიღისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე.

არაფინანსური აქტივები

არაფინანსური აქტივების უმეტესობა, რომლებსაც საწარმო თავდაპირველად პირვანდელი ღირებულებით აღიარებს, შემდგომში

ძირითად საშუალებებს აფასებს დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით შემცირებულ თვითღირებულებასა და ანაზღაურებად ღირებულებას შორის უმცირესი თანხით (თვითღირებულების მოდელი).

მარაგს აფასებს თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით.

აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შპს „ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

აღიარება არის საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში იმ მუხლის ასახვის პროცესი, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის, ვალდებულების, შემოსავლის ან ხარჯის განმარტებას და შემდეგ კრიტერიუმებს:

- მოსალოდნელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან საწარმოდან გასვლა; და

- მუხლს გააჩნია თვითღირებულება ან ღირებულება, რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. თუ არ აღიარდება მუხლი, რომელიც აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს, ამის გამოსწორება არ შეიძლება არც გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით და არც განმარტებით შენიშვნებში ან სხვაგან რაიმე განმარტებითი ინფორმაციის გამჟღავნების გზით. **მომავალი ეკონომიკური სარგებლის ალბათობა**

ფინანსური ანგარიშგების ამა თუ იმ ელემენტის თავდაპირველი აღიარების კრიტერიუმში ალბათობის ცნებას იყენებენ მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლის ან საწარმოდან გასვლისთვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობის ხარისხის დასადგენად. მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოძრაობისთვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობის ხარისხის შეფასება ეყრდნობა იმ მტკიცებულებებს/ინფორმაციას, რომელიც ეხება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებულ პირობებს/გარემოებებს, როდესაც მზადდება ფინანსური ანგარიშგება. ამგვარი შეფასებები ცალ-ცალკე კეთდება ყველა ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მუხლისთვის და ასევე ინდივიდუალურად უმნიშვნელო მუხლებისგან შემდგარი დიდი ჯგუფისთვის.

აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების შეფასება

შეფასება არის ფულადი სიდიდეების განსაზღვრის პროცესი, რომლის მიხედვითაც ხდება აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ეს პროცესი გულისხმობს შეფასებისთვის გარკვეული საფუძვლის შერჩევას. წინამდებარე სტანდარტი ადგენს, შეფასების რომელი საფუძველი უნდა გამოიყენოს საწარმომ სხვადასხვა ტიპის აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების შეფასებისთვის.

შეფასების ორი ყველაზე გავრცელებული საფუძველია პირვანდელი ღირებულება და რეალური ღირებულება:

- აქტივების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შემენის მომენტში გადახდილი ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. ვალდებულების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან ვალდებულების სანაცვლოდ მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისთვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ამორტიზებული პირვანდელი ღირებულება არის აქტივის ან ვალდებულების პირვანდელ ღირებულებას პლუს, ან მინუს მისი პირვანდელი ღირებულების ის ნაწილი, რომელიც ადრე აღიარებული იყო როგორც ხარჯი, ან შემოსავალი;

- რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით განხორციელებულ გარიგებაში. ისეთ სიტუაციაში, როდესაც ნებადართულია ან მოითხოვება რეალური ღირებულების შეფასება.

არაფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების გარდა, ყველა სხვა ვალდებულების უმეტესობა აღიარდება იმ თანხის ოდენობის საუკეთესო შეფასებით, რომელიც საჭიროა ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

შპს „ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას („ფუნქციონალური ვალუტა“). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც: იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

ისეთი ელემენტები, როგორიცაა სათადარიგო ნაწილები, დამხმარე მოწყობილობები და ტექნოლოგიებისა და რემონტისთვის განკუთვნილი მოწყობილობები აღიარდება წინამდებარე განყოფილების შესაბამისად, როდესაც ისინი აკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. სხვა შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც მარაგი.

კომპანია ძირითადი საშუალება თავდაპირველი აღიარებისას აფასებს თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების რეზერვი. ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით.

საწარმომ აქტივის ცვეთადი ღირებულება უნდა გაანაწილოს სისტემატურ საფუძველზე, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ცვეთა. მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ სასარგებლო ვადაზე მათი ღირებულების თანაბარი განაწილებით:

სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში:	
მიწი ნაკვეთი	0
შენობები	50
მანქანა-დანადგარები	7-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	5

არამატერიალური აქტივი - კომპანია არამატერიალურ აქტივს აღრიცხავს თვითღირებულების მეთოდით. საწყისი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივი უნდა აისახოს მისი თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ამორტიზაციისა და ნებისმიერი აკუმულირებული გაუფასურების ზარალის ოდენობით.

ბიოლოგიური აქტივი - ასახულია თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად მცენარის სასიცოცხლო ვადით.

შპს „ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებულია ასევე აღიარებულ ტრანზაქციებთან, იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნება მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის ანგარიშში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი ვარიანტი ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან მომსახურების უფასოდ მიწოდებას.

მარაგები. კომპანია მარაგს აფასებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველაწარმოებულ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

საწარმოში ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა შეაფასოს, გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება (მაგალითად, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მარაგის დაზიანებით, მისი მოძველებით ან გასაყიდი ფასების დაცემით). იმ შემთხვევაში, თუ მარაგის ერთეული (ან ერთეულთა ჯგუფი) გაუფასურდა, ამ პუნქტების მიხედვით, საწარმოში მარაგი უნდა შეაფასოს მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიაროს გაუფასურების ზარალი. ზემოაღნიშნული პუნქტები, ზოგიერთ შემთხვევაში, ასევე მოითხოვს წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენას. მარაგის ჩამოწერას ახდენს საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

მიუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი თანხების შემდგომში ამოღებული ნაწილი მიუკუთვნება მოგება-ზარალის უწყისში გაუფასურების ზარალის ანგარიშს.

კომპანია 30 დღემდე ვადაგადაცილებული სავაჭრო მოთხოვნისთვის რეზერვი არ ქმნის, 30 დან 60 დღემდე ვადაგადაცილების მქონე სავაჭრო მოთხოვნისთვის კომპანია იღებს ვადაგადაცილებული ოდენობის 10 %-ს, 60 დან 120 დღემდე - 30 %-ს, ხოლო 120 დან 180 დღემდე -50 %-ს 180 დღეზე მეტი ოდენობის სავაჭრო მოთხოვნისთვის ვიღებთ ვადაგადაცილებული ოდენობის 100 %-ს.

გადახდილი ავანსები. ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. ავანსი გრძელვადიანად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურების მიღება ივარაუდება ერთი წლის შემდგომ. აქტივების ყიდვაზე გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის დამყარების შემდეგ და თუ მოსალოდნელია, რომ მასთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს კომპანია მიიღებს. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგება-ზარალში მათთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურებების მიღების შემდეგ. თუ არის იმის ნიშნები, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივების, საქონლისა თუ მომსახურებების მიღება ვერ მოხერხდება, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, ხოლო წლის მოგება-ზარალში აღიარდება შესაბამისი გაუფასურების ზარალი.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალილიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

განკარგვის უფლებით შეზღუდული ფულადი ნაშთები ბანკის დეპოზიტის ჩათვლით ამოღებულია ფული და ფულის ექვივალენტებიდან ფულადი სახსრების ანგარიშგებისთვის. ნაშთები, რომლებიც აკრძალულია გაცვლისათვის ან გამოიყენება ვალდებულების დასაფარად სულ მცირე ანგარიშგების პერიოდის თორმეტი თვის შემდეგ წარმოდგენილია შეზღუდულ დეპოზიტებში ფინანსური პოზიციის ანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ რომლებიც განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად, მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის არის აღიარებული, როგორც გადახდილი კაპიტალი.

დივიდენდები. დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება ნეტო მეთოდით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სესხები. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები არის საპროცენტო და სხვა დანახარჯები, რომლებსაც საწარმო ეწევა ნასესხები სახსრების მიღებასთან დაკავშირებით. ნასესხებ სახსრებთან

შპს „ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

დაკავშირებული დანახარჯები: (ა) ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებული საპროცენტო ხარჯი, როგორც ეს აღწერილია მე-11 განყოფილებაში - „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები“; (ბ) ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯები, რომელიც აღიარებულია მე-20 განყოფილების - „იჯარა“ - შესაბამისად; და (გ) უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებთან დაკავშირებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობების ის ნაწილი, რომელიც მიიჩნევა საპროცენტო დანახარჯების კორექტირებად.

კომპანიი ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

სავაჭრო და სხვა დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი დავალიანებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების, მათ შორის, სააქციო ინვესტიციების, გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

	<u>31 დეკემბერი 2023</u>	<u>31 დეკემბერი 2023</u>
ლარი / 1 აშშ დოლარი	2.6894	2.7020
ლარი / 1 ევრო	2.9753	2.8844

შემოსავლის აღიარება. შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის პრინციპის საფუძველზე, მაშინ, როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

შემოსავლები წარდგენილია დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, ასევე კორექტირებებისა და ფასდაკლებების გათვალისწინებით.

მიღებული ავანსი. კომპანია მიღებულ ავანსებში ასახავს ბინის მომავალი მესაკუთრეებისგან წინასწარ მიღებულ ავანსის თანხებს, რომელიც აღირიცხება ოპერაციის ღირებულებით (რეალურად მიღებული ფულადი ერთეულებით). უცხოურ ვალუტაში მიღებული ავანსები ქართულ ლარებში გადაიანგარიშება ოპერაციის თარიღით ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომლის გადაფასებაც შემდგომ აღარ ხდება.

შპს „ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ხარჯების აღიარება. სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების კრიტერიუმების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოყენების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ, საჭიროებს კომპანიის ხელმძღვანელობის დადასტურებას, რომელთა მიერ მოხდა ამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად უფლებამოსილების მინიჭება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები, და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, და გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშება შეფასების საქმეა და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შთანთქმა ძირითადად მოხმარების მეშვეობით ხდება. ამასთან, სხვა ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა ხშირად იწვევს ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირებას. მენეჯმენტი დარჩენილი სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშებას ახორციელებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია კომპანიის მიერ ამ აქტივებიდან სარგებლის მიიღება. მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექნომსახურების გეგმაზე; და (გ) საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური და კომერციული მოძველება.

უიმედო ვალების რეზერვი. კომპანია, კლიენტების გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

შპს „ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

4. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა	მანქანა დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ჯამი
1 იანვარი 2022	465,500	214,023	3,512,025	3,883,000	46,434	978,913	9,099,896
შესყიდვა	-	294,012	-	175,052	-	44,282	513,346
გასვლა	-	-	-	(30,158)	-	-	(30,158)
31 დეკემბერი 2022	465,500	508,035	3,512,025	4,027,894	46,434	1,023,196	9,583,084
შესყიდვა	1,290,150	4,700	18,675	1,063,494	77,429	49,662	2,504,110
შენობაზე გადატანა	-	(512,735)	512,735	-	-	-	0
მარაგზე გადატანა	-	-	-	(118,770)	-	-	(118,770)
31 დეკემბერი 2023	1,755,650	-	4,043,435	4,972,619	123,863	1,072,858	11,968,425
აკუმულირებული ცვეთა							
1 იანვარი 2022	-	-	(135,124)	(935,784)	(22,863)	(338,522)	(1,432,292)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	-	(56,491)	(395,098)	(8,437)	(136,594)	(596,619)
31 დეკემბერი 2022	-	-	(191,614)	(1,330,882)	(31,299)	(475,116)	(2,028,912)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	-	(67,116)	(421,457)	(13,810)	(139,143)	(641,526)
31 დეკემბერი 2023	-	-	(258,731)	(1,752,339)	(45,110)	(614,258)	(2,670,438)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
1 იანვარი 2022	465,500	214,023	3,376,902	2,947,216	23,571	640,391	7,667,604
31 დეკემბერი 2022	465,500	508,035	3,320,411	2,697,012	15,135	548,080	7,554,173
31 დეკემბერი 2023	1,755,650	-	3,784,705	3,220,280	78,753	458,600	9,297,987

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები დატვირთულია იპოთეკით სს პროგრედიტ ბანკის სესხის სასარგებლოდ.

შპს „ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

5. მარაგები

კომპანიას სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სახით გააჩნია სამედიცინო საჭიროებისათვის განკუთვნილი მარაგები:

მარაგები	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
მედიკამენტები	778,202	484,182	435,007
გასაყიდი მედიკამენტები	206,861	175,608	94
ნედლეული და მასალა	369,903	287,048	17,890
სხვა მარაგები	1,489	10,269	128,979
სულ	1,356,454	957,107	581,970

6. ფული და ფულის ექვივალენტები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ექვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

ფული და ფულის ექვ.	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
ნაღდი ფული	61,377	70,436	2,591
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	122,846	153,019	25,988
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	486,162	574,377	303,147
სულ	670,386	797,832	331,726

7. სავაჭრო მოთხოვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნები ბალანსები მოიცავს შემდეგს:

სავაჭრო მოთხოვნები	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
სავაჭრო მოთხოვნები	349,046	195,529	117,199
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(37,768)	(6,642)	-
სხვა მოთხოვნები	5,124	23,105	-
ჯამი	316,402	211,992	117,199

8. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები 2023 წლის 31 დეკემბრის , 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგენს 187 423 , 418 064 და 223 598 ლარს. გადახდილი ავანსები შეადგენს წინასწარ გადარიცხულ თანხებს მომწოდებლებზე საქმიანობისთვის საჭირო საქონლის მოსაწოდებლად ან მომსახურების გასაწევად.

9. საწესდებო კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 880,509 და 1,616,509 ლარს. საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში ასახული კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას. საწესდებო კაპიტალის მფლობელებს დროდადრო გამოცხადებული დივიდენდების მიღებისა და კომპანიაში წილის პროცენტულობის შესაბამისი რაოდენობის ხმის უფლება აქვთ.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მფლობელია

გოდერძი ნაკაშიძე - 100%;

(ბ) დივიდენდი

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები შემოიფარგლება გაუნაწილებელი მოგების იმ ნაშთით, რომელიც ასახულია კომპანიის მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დივიდენდები არ გამოცხადებულა გასანაწილებლად 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
სავაჭრო ვალდებულებები	118,676	21,140	48,810
მიღებული ავანსები	80,684	90,796	33,024
სხვა ვალდებულებები	12,141	12,024	-
ჯამი	211,502	123,959	81,834

შპს „ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

11. სასესხო ვალდებულებები

გრძელვადიანი სესხი :

დასახელება	ვალუტა	სესხის ვადა	საპროცენტო განაკვეთი	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
პროკრედიტ ბანკი	USD	8/31/2026	6.00%	234,952	366,638	561,564
პროკრედიტ ბანკი	USD	6/28/2027	6.00%	306,181	418,166	598,951
პროკრედიტ ბანკი	EUR	12/28/2028	8.36%	485,241	564,930	795,873
პროკრედიტ ბანკი	EUR	8/31/2026	8.25%	159,719	237,830	383,229
პროკრედიტ ბანკი	EUR	3/29/2027	8.17%	16,696	22,491	34,476
პროკრედიტ ბანკი	EUR	4/28/2027	8.12%	225,332	299,702	457,170
პროკრედიტ ბანკი	EUR	12/4/2028	5.00%	301,102	356,230	507,177
პროკრედიტ ბანკი	EUR	12/4/2028	5.00%	21,844	25,873	36,865
პროკრედიტ ბანკი	EUR	2/23/2029	7.34%	523,159	607,393	-
პროკრედიტ ბანკი	EUR	11/5/2030	6.50%	1,666,052	-	-
პროკრედიტ ბანკი	EUR	12/24/2029	7.09%	460,764	515,893	-
პროკრედიტ ბანკი	GEL	5/13/2025	11.50%	192,517	516,856	824,643
პროკრედიტ ბანკი	EUR	5/12/2022	14.00%			852,898
ჯამი				4,593,560	3,932,003	5,052,847

გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი :

დასახელება	ვალუტა	სესხის ვადა	საპროცენტო განაკვეთი	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
პროკრედიტ ბანკი	USD	8/31/2026	6.00%	136,257	131,813	133,087
პროკრედიტ ბანკი	USD	6/28/2027	6.00%	116,994	113,312	112,622
პროკრედიტ ბანკი	EUR	12/28/2028	8.36%	97,903	90,551	112,035
პროკრედიტ ბანკი	EUR	8/31/2026	8.25%	85,720	77,694	94,128
პროკრედიტ ბანკი	EUR	3/29/2027	8.17%	6,526	5,911	7,249
პროკრედიტ ბანკი	EUR	4/28/2027	8.12%	84,029	76,786	92,985
პროკრედიტ ბანკი	EUR	12/4/2028	5.00%	67,713	62,751	70,983
პროკრედიტ ბანკი	EUR	12/4/2028	5.00%	4,943	4,581	5,183
პროკრედიტ ბანკი	EUR	2/23/2029	7.34%	104,153	95,660	-
პროკრედიტ ბანკი	EUR	11/5/2030	6.50%	255,376	-	-
პროკრედიტ ბანკი	EUR	12/24/2029	7.09%	72,118	67,662	-
პროკრედიტ ბანკი	GEL	5/13/2025	11.50%	327,900	314,012	266,952
პროკრედიტ ბანკი	EUR	5/12/2022	14.00%	-	-	230,940
პროკრედიტ ბანკი	GEL	5/12/2022	14.00%	-	-	215,386
ჯამი				1,359,634	1,040,733	1,341,549

შპს „ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სესხის მოძრაობა :

	2023	2022	2021
1 იანვარი	(4,972,737)	(6,394,395)	(7,372,328)
აღებული სესხი	(1,873,625)	(1,267,005)	(616,190)
საპროცენტო ხარჯი	(366,538)	(399,815)	(493,794)
გადახდილი პროცენტი	365,054	371,914	493,794
გადახდილი ძირი	1,020,571	1,944,533	1,180,639
დაფარვა დამფუძნებელი	-	-	49,414
საკურსო სხვაობა	(125,920)	772,031	364,070
დეკემბერი	(5,953,194)	(4,972,737)	(6,394,396)

12. ამონაგები

2023 და 2022 წლის მდგომარეობით შემოსავლები შედგება :

ამონაგები	2023	2022
შემოსავალი მედიცინიდან	7,765,293	7,073,986
შემოსავალი აფთიაქიდან	525,263	335,980
სხვა შემოსავალი	2,407	1,695
ჯამი	8,292,963	7,411,661

13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

2023 და 2022 წლის მდგომარეობით რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება შედგება :

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2023	2022
მარაგის ხარჯი	1,330,053	892,053
შრომის ანაზღაურება და სხვა სარგებელი	3,757,590	3,235,947
ცვეთის ხარჯი	642,682	597,508
სხვა თვითღირებულების ხარჯი	54,215	18,317
ჯამი	5,784,539	4,743,824

14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

2023 და 2022 წლის მდგომარეობით ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი შედგება :

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	2023	2022
დაცვის ხარჯი	1,200	1,200
დაზღვევის ხარჯი	5,000	6,418
რემონტის ხარჯი	84,869	10,982
საკონსულტაციო ხარჯი	31,100	31,529
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	20,778	22,976
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	150,106	145,418
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	31,360	21,066
წარმომადგენლობითი ხარჯი	13,804	5,314
სამეურნეო ხარჯი	34,173	46,289
ბანკის მომსახურების ხარჯი	53,350	45,727
სხვა ხარჯი	44,568	26,318
ჯამი	470,308	363,237

15. პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანიის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხოვნები. ანგარიშგების თარიღისთვის, მენეჯმენტი არ არის საქმის კურსში კომპანიის მიმართ რაიმე მოთხოვნის თაობაზე, რომელსაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ პოზიციასზე.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებული ბაზრების უმეტესობაზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

16. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე ჯგუფის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს.

კომპანიაზე საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში წარმოდგენილ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში, გაანგარიშებაში მოცემულია წმინდა დებიტორული დავალიანება (მხოლოდ სავაჭრო ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი მოთხოვნები):

	2023	2022
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	670,386	797,832
სავაჭრო მოთხოვნები	316,402	211,992
	986,787	1,009,824
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	211,502	123,959
მიღებული სესხები	5,953,194	4,972,737
	6,164,696	5,096,696
ღია სავალუტო პოზიცია	(5,177,908)	(4,086,872)

საბაზრო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტთან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს მისაღები რისკის მოცულობაზე და ამ მოცულობაზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ გამორიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში. საბაზრო რისკების ქვემოთ წარმოდგენილი გავლენა ეფუძნება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას ყველა სხვა ფაქტორის უცვლელობის პირობებში. პრაქტიკაში ეს სავარაუდოდ არ მოხდება და ზოგიერთ ფაქტორში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

შპს „ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

კომპანიის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგ

	GEL	USD 1 = 2.7020 GEL	EUR 1 = 2.8844 GEL	31.12.2022
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექტვივალენტი	223,455	574,377		797,832
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	211,992			211,992
გაცემული სესხები				-
ფინანსური აქტივები, სულ	435,448	574,377	-	1,009,824
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	123,959			123,959
მიღებული სესხები	830,868	1,029,929	3,111,939	4,972,737
ფინანსური ვალდებულებები, სულ	954,827	1,029,929	3,111,939	5,096,696
	(519,380)	(455,553)	(3,111,939)	(4,086,872)
	GEL	USD USD 1 = 2.6894 GEL	EUR EUR 1 =2.9753 GEL	31.12.2023
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექტვივალენტი	184,223	486,162		670,386
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	316,402			316,402
გაცემული სესხები				-
ფინანსური აქტივები, სულ	500,625	486,162	-	986,787
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	211,502			211,502
მიღებული სესხები	520,417	794,385	4,638,392	5,953,194
ფინანსური ვალდებულებები, სულ	731,919	794,385	4,638,392	6,164,696
	(231,294)	(308,222)	(4,638,392)	(5,177,908)

მგრძნობელობა სავალუტო კურსის ცვლილების მიმართ

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს

სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას მენეჯმენტის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

გავლენა წმინდა მოგებაზე აქტივების ღირებულების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს „ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

2022	დოლარის ეფექტი		ევროს ეფექტი	
	GEL/USD	GEL/USD	GEL/EUR	GEL/EUR
	20%	- 20%	20%	- 20%
მოგება/(ზარალი)	(91,111)	91,111	(622,388)	622,388
2023				
	დოლარის ეფექტი		ევროს ეფექტი	
	GEL/USD	GEL/USD	GEL/EUR	GEL/EUR
	20%	- 20%	20%	- 20%
მოგება/(ზარალი)	(61,644)	61,644	(927,678)	927,678

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო პარტნიორებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

საპროცენტო რისკი. კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულგანაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება სარეალიზაციო საქონლის მომწოდებლის კრედიტორული დავალიანება რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად, კომპანიას აქვს განზრახული მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, კომპანიის უნარის, დაფაროს სხვა არაურთიერთამოკიდებული კრედიტორების დავალიანება, გაუარესების გარეშე.

31 დეკემბერი 2023 წ	საბალანსო ღირებულება	12 თვემდე	1-5 წელი
სავაჭრო ვალდებულებები	211,502	211,502	-
სასესხო ვალდებულებები	5,953,194	1,359,634	4,593,560
სულ	6,164,696	1,571,136	4,593,560
31 დეკემბერი 2022 წ			
სავაჭრო ვალდებულებები	123,959	123,959	-
სასესხო ვალდებულებები	4,972,737	1,040,733	3,932,003
სულ	5,096,696	1,164,693	3,932,003

შპს „ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

17. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. დაკავშირებული მხარის თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის აგრეგირებული ანაზღაურება შეადგენს 2023 და 2022 წლის მდგომარეობით შესაბამისად : 313 395 და 444 907 ლარს.

18. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობამ მოახდინა წინა წლებში შეცდომების გასწორება, კერძოდ შეცდომები გამოწვეული იყო მსს სტანდარტებთან შეუსაბამობით. სავაჭრო მოთხოვნების ნაწილში აღიარებული იქნა საექვო მოთხოვნების რეზერვი, აღიარდა მარაგების გაუფასურების ხარჯი, გამოუყენებელი ოვერდრაფტის თანხა აღიარებული იყო სესხად, რაც გასწორდა, სასესხო ვალდებულების ნაწილში მოხდა საპროცენტო ხარჯის დარიცხვა და გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილის გამოყოფა, უარყოფითი გუდვილი აღიარდა გაუნაწილებელ მოგებაში, თანამშრომლების ფონდის რეკლასიფიკაცია მოხდა სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში შინაარსიდან გამომდინარე.

	31.12.2022	ზრდა/(შემცირება)	31.12.2022 გადაანგარიშებული
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7,554,173	-	7,554,173
სხვა არამატერიალური აქტივები	4,371	-	4,371
სულ გრძელვადიანი აქტივები	7,558,544	-	7,558,544
გადახდილი ავანსები	418,064	-	418,064
სავაჭრო მოთხოვნები	196,081	(6,642)	189,439
სხვა საგადასახ. აქტივები	54,645	(54,645)	0
მარაგები	1,022,725	(65,619)	957,107
სხვა მიმდინარე აქტივები	22,553	-	22,553
ფული და ფულის ექვ.	1,097,832	(300,000)	797,832
სულ მოკლევადიანი აქტივები	2,811,901	(426,905)	2,384,995
სულ აქტივები	10,370,445	(426,905)	9,943,539
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	4,944,836	(1,012,832)	3,932,003
უარყოფითი გუდვილი	24,701	(24,701)	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	4,969,537	(1,037,533)	3,932,003

შპს „ინოვაციური სტომატოლოგიის ცენტრი როგო“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	111,936	12,024	123,959
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	300,000	740,733	1,040,733
საგადასახადო ვალდებულება	-	48,073	48,073
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12,024	1,274	13,298
ხელფასის ვალდებულება	100	-	100
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	424,059	802,104	1,226,163
სულ ვალდებულებები:	5,393,596	(235,429)	5,158,167
საკუთარი კაპიტალი		-	
საწესდებო კაპიტალი	1,616,509	-	1,616,509
თანამშრომლების ფონდი	13,298	(13,298)	
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	3,347,042	(178,178)	3,168,863
სულ საკუთარი კაპიტალი:	4,976,849	(191,476)	4,785,372
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	10,370,445	(426,905)	9,943,539

	01.01.2022	ზრდა/(შემცირება)	01.01.2022 გადაანგარიშებული
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7,667,604	-	7,667,604
სხვა არამატერიალური აქტივები	4,010	-	4,010
სულ გრძელვადიანი აქტივები	7,671,614	-	7,671,614
		-	
გადახდილი ავანსები	223,598	-	223,598
სავაჭრო მოთხოვნები	117,199	-	117,199
სხვა საგადასახ. აქტივები	-	-	-
მარაგები	581,970	-	581,970
სხვა მიმდინარე აქტივები	22,536	-	22,536
ფული და ფულის ექვ.	416,340	(84,614)	331,726
სულ მოკლევადიანი აქტივები	1,361,642	(84,614)	1,277,028
სულ აქტივები	9,033,256	(84,614)	8,948,642
გრძელვადიანი სასესხო			
ვალდებულებები	6,179,010	(1,126,163)	5,052,847
უარყოფითი გუდვილი	24,701	(24,701)	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	6,203,711	(1,150,864)	5,052,847

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	81,834	-	81,834
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	300,000	1,041,549	1,341,549
საგადასახადო ვალდებულება	70,099	36,681	106,779
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12,338	4,242	16,580
ხელფასის ვალდებულება	31,139	-	31,139
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	495,410	1,082,472	1,577,882
სულ ვალდებულებები:	6,699,121	(68,392)	6,630,729
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	1,695,559	-	1,695,559
თანამშრომლების ფონდი	4,243	(4,243)	
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	634,334	(11,979)	622,355
სულ საკუთარი კაპიტალი:	2,334,136	(16,222)	2,317,914
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	9,033,256	(84,614)	8,948,642

19. ბალანსის შედგენის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდეგ რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა არ მომხდარა .

შპს „ინოვაციური სტომატოლოგიისა და ზოგადი მედიცინის ცენტრი როგო“

მმართველობითი ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

მმართველობითი ანგარიშგება

1.	საქმიანობის მიმოხილვა.....	1
2.	კორპორაციული მართვის ანგარიშგება	3
3.	არაფინანსური ანგარიშგება	3

1. საქმიანობის მიმოხილვა

შესავალი

შპს „ინოვაციური სტომატოლოგიისა და ზოგადი მედიცინის ცენტრი როგო“ (შემდგომში „კომპანია“) არის 2014 წლის 17 სექტემბერს დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ბათუმი, ვახტანგ გორგასალის ქ. #163, სართული 1, არასაცხოვრებელი ფართი #1. კომპანია სამედიცინო მომსახურებას უწევს სტაციონარულ და ამბულატორიულ მომხმარებლებს იურიდიულ მისამართზე მოქმედი კლინიკის მეშვეობით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი არის გოდერძი ნაკაშიძე პირადი ნომერი 61008006200.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ექვეყნებინა კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან - 8,292,963 ლარი.

საერთო მოგება - 2,508,424 ლარი.

ბიზნესის სტრუქტურა

კომპანია არის სტომატოლოგიური მომსახურეობის ერთ-ერთ მსხვილი მიმწოდებელი ბაზარზე, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს სწრაფად მზარდ, უპირატესად კერძო საკუთრებაში მყოფ ეკოსისტემას. ჩვენ ერთ-ერთი მოწინავე პოზიცია გვიჭირავს ბაზარზე შეთავაზებული სერვისების რაოდენობით, აგრეთვე სტაციონარული და ამბულატორიული სერვისების მრავალფეროვნებით. კომპანიის მიერ შეთავაზებული სერვისები გათვლილია ფართო საზოგადოებაზე.

საქმიანობის შედეგები და განვითარების გეგმები

კომპანია გამოირჩევა სწრაფი ორგანული ზრდით შემოსავლების მიხედვით. კომპანია ცდილობს რაც შეიძლება გააფართოვოს შემოსავლის წყაროები და ამ გზით განვაგრძნობთ გეგმიური და შერჩევითი სერვისების რიცხვის ზრდას.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ეს საკითხი დეტალურად არის განხილული ამავე ანგარიშის მესამე პარაგრაფში (არაფინანსური ანგარიშგება).

2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება**მმართველობითი ორგანო**

კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო არის აქციონერთა საერთო კრება, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს ყველა მთავარი გადაწყვეტილება. ის პასუხისმგებელია კომპანიის დირექტორის დანიშვნასა და მის ზედამხედველობაზე. კომპანიის დირექტორი პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიურ მართვაზე, გარდა იმ ფუნქციებისა, რომელიც აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციებში შედის.

კომპანიის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ახორციელებს გენერალური დირექტორი და აღმასრულებელი დირექტორი. ჩვენ გვჯერა, რომ კომპანიის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობის ეს შემადგენლობა საუკეთესოა დადგენილი მიზნების მისაღწევად.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლები და კომპანიის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობის მიერ გამოყენებული სხვადასხვა პოლიტიკები (მათ შორის, დივერსიფიკაციის პოლიტიკა) მიმოხილულია ამ დოკუმენტის არაფინანსური ანგარიშგების ნაწილში.

3. არაფინანსური ანგარიშგება

არაფინანსური საკითხები

გარემოს დაცვა

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ კომპანიის საქმიანობას ზეგავლენა აქვს გარემოზე და ამ საკითხს ძალიან სერიოზულად ვეკიდებით. ზუსტად ამ მიზნით კომპანიაში არის შექმნილი გარემოს დაცვის მიმართულება რომელიც კონკრეტულად გარემოს დაცვის საკითხებზე არის ორიენტირებული. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამ მიმართულებით სამედიცინო ნარჩენებია, რომელიც ყველაზე მსხვილი ნარჩენი პროდუქტია ჩვენს საქმიანობაში.

სამედიცინო ნარჩენების უტალიზაცია ძალიან მნიშვნელოვანია საკითხია. ნარჩენების გარემოზე მავნედ ზემოქმედების რისკის მნიშვნელოვნად შემცირება შესაძლებელი პროცესების სწორად მართვით. ჩვენ ვიცავთ პოლიტიკის მიხედვით აღიარებულ

სამედიცინო მარაგების მართვის პროცედურები, რომელიც კომპანიაშია დანერგილი, აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, რომელიც განსაზღვრავს რისკის კატეგორიებს და ადგენს შესაბამის პროცედურებს ამ რისკებთან განსამკლავებლად.

ჩვენ დავნერგეთ სამედიცინო ნარჩენების მართვის ეფექტური სისტემა. პერსონალი ყოველდღიურად და ყოველკვირეულად ავსებს სპეციალიზებულ ფორმებს, სადაც კონკრეტულად არის მითითებული ნარჩენის სახეობა, წონა და ტრანსპორტირების ფორმა.

კლინიკაში სპეციალიზებული ოთახია შექმნილი, სადაც სამედიცინო ნარჩენები ინახება (არაუმეტეს 24 საათისა), სანამ მათი შენობიდან გატანა მოხდება. ზიანის შემცირების მიზნით კომპანია სამედიცინო ნარჩენების უტილიზაციისთვის იყენებს კონტრაქტორ კომპანიას, რომელიც ამ საკითხში არის სპეციალიზებული.

ჩვენ მუდმივად ვცდილობთ მინიმუმამდე შევამციროთ გარემოზე მავნე ზემოქმედება, რომელიც ჩვენი საქმიანობის შედეგად შესაძლოა გამოვლინდეს.

სოციალური და დასაქმების საკითხები

კომპანიის თითოეული წევრი საკუთარ როლს თამაშობს კომპანიის წარმატებასა და მომხმარებლისთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდებაში. ჩვენ გავზარდეთ მომსახურების მრავალფეროვნება და სერვისების რაოდენობა, თანამშრომელთა რიცხვი კი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 130-ზე მეტს შეადგენდა.

კომპანია სტანდარტულ რეჟიმში განიხილავს ყველა დასაქმების აპლიკაციას, რომელიც შშმ პირების მიერ არის გამოგზავნილი და უზრუნველყოფს რომ მათ ჰქონდეთ კარიერული განვითარების საჭირო ყველა ბერკეტი და თანასწორ, სამართლიან გარემოში უწევდეთ მუშაობა.

ადამიანის უფლებების დაცვა

ჩვენ ვაცნობიერებთ ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ მნიშვნელობას. კომპანია უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოს თავისი თანამშრომლებისთვის, სადაც მათ ეპყრობიან სამართლიანად და პატივს სცემენ მათ შეხედულებებს. ეს პრაქტიკა ასევე ვრცელდება მომხმარებლებზე, მომწოდებლებზე, კონკურენტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებზე.

ჩვენი კორპორატიული სახელმძღვანელო აწესებს პრიორიტეტებს ამ საკითხთან მიმართებაში და აგრეთვე ითვალისწინებს გარკვეულ კონტროლებს, რომელიც დანერგილია კომპანიაში, რათა სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპები ყველა რგოლში დაცული იყოს.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

კომპანია ცდილობს ეთიკურობის ფარგლებში იმოქმედოს. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ კორუფციას დამანგრეველი ეფექტი აქვს როგორც, ზოგადად, ეკონომიკაზე, ისე ბიზნესსა და მის რეპუტაციაზე.

ჩვენი პოლიტიკის ნაწილია, რომ არასდროს მოვითხოვთ, შევთავაზოთ ან გადავიხადოთ ქრთამი, ან რაიმე სახით წავახალისოთ ნებისმიერი ზემოთხსენებული ქმედება.

საქმიანობის რისკების ანალიზი

კომპანია ოპერირებს ისეთ ბიზნესგარემოში, სადაც სხვადასხვა რისკები და გაურკვევლობები არსებობს, რომელთა უგულობელოფამ შესაძლოა მატერიალური ეფექტი იქონიოს ბიზნესზე. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ რისკების ეფექტური მართვა და ძლიერი შიდა კონტროლების სისტემა საკვანძო რგოლია სტრატეგიული მიზნების შესრულებისათვის და ჩვენი მომხმარებლებისა და უზრუნველყოფის სთეიქჰოლდერების ინტერესების დასაცავად.

ჩვენ გვაქვს რისკის მართვის ფორმალიზებული პოლიტიკა, რომელიც დეტალურად გაწერს პროცედურებს, ადგენს ავტორიზაციების სხვადასხვა დონეებს და თავის თავში მოიაზრებს რეპორტირებას. კომპანიის მენეჯმენტი სრულად არის პასუხისმგებელი კომპანიის რისკების მართვასა და მითიგაციაზე.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები გამოიყურება შემდეგნაირად:

- კომპანია ოპერირებს ბიზნესგარემოში, რომელიც საკმაოდ მკაცრად რეგულირდება სხვადასხვა სახის რეგულაციებითა და კანონებით. ამ რეგულაციების დარღვევა ან კანონებთან შეუსაბამობაში ყოფნა გამოიწვევს მნიშვნელოვან ფინანსურ ზარალს ჯარიმების სახით და უარყოფითი ეფექტი ექნება კომპანიის რეპუტაციაზე. ამ რისკის შემცირების მიზნით ჩვენ ვცდილობთ კონსტრუქციულ დიალოგში შევიდეთ სახელმწიფო ორგანოებთან და სადაც შესაძლებელია ვცდილობთ გარე რჩევებისა და რეკომენდაციების მიღებას მოსალოდნელ ცვლილებაზე საკანონმდებლო სისტემაში. კომპანიაში გაწერილია სხვადასხვა პროცედურები და კონტროლები, რათა კომპანიამ კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები და რეგულაციებთან შესაბამისობაში იყოს. კომპანიის იურისტი მონაწილეობს ყველა მატერიალური ხელშეკრულებისა თუ კონტრაქტის გაფორმების პროცესში, საფინანსო სამსახური კი მუდმივად თვალს ადევნებს ცვლილებებს საგადასახადო კანონმდებლობაში.
- კომპანიის წარმატება დამოკიდებულია მის უნარზე მიიზიდოს და შეინარჩუნოს პროფესიონალი ექიმები და სხვა პროფესიონალები. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ წარმატებით შევასრულოთ ეს ფუნქცია, კომპანიის განვითარება, შეთავაზებული სერვისების ხარისხი და რეპუტაცია საფრთხის წინაშე იქნება. რისკს ზრდის ისიც, რომ ქვეყანაში მაღალკვალიფიციური ექიმების, მედდებისა და სხვა პროფესიონალების ნაკლებობაა. სწორედ ამიტომ, ჩვენთვის პრიორიტეტულია ეს საკითხი და კომპანია ბევრ რესურსსა და ენერგიას ხარჯავს ამ მიმართულებით, რაც გამოიხატება მაღალ ბონუსებსა და სხვა სარგებელში, რომელსაც ჩვენს თანამშრომლებს ვთავაზობთ.
- კომპანიას აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საოპერაციო რისკი. კიბერ-თავდასხმებმა და თავდაცვის სისტემების დარღვევამ შესაძლოა მნიშვნელოვანი და კონფიდენციალური მონაცემების დაკარგვა გამოიწვიოს და/ან ეს ინფორმაცია მესამე პირის ხელში მოხვდეს. ამ რისკების მინიმიზაციის მიზნით კომპანიას ყავს მაღალკვალიფიციური კადრი.

გამოყენებული პოლიტიკის აღწერა

კომპანიაში დანერგილია და გამოიყენება სხვადასხვა პოლიტიკა რომელზეც ამ ანგარიშშიც იყო საუბარი.

აქტიურად გამოიყენება გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა, რომლის მიზანია გარემოზე მავნედ ზემოქმედების რისკის მნიშვნელოვნად შემცირება.

კომპანიაში დანერგილია ე.წ. მამხილებელი (whistleblowing) და ანტიკორუფციული პოლიტიკა, რომლის მიზანია კორუფციის რისკების მინიმუმამდე შემცირება. მამხილებელი პოლიტიკის ფარგლებში თანამშრომელს აქვს საშუალება ანონიმურად დასვას საკითხი ნებისმიერ ბიზნესპროცესის გამართულობასა და სამართლიანობაზე. თითოეული შემთხვევა დეტალურად განიხილება და სამეთვალყურეო საბჭოს მიხედვით, ეს პოლიტიკა ეფექტურადაა დანერგილი კომპანიაში.

ჩვენ ვაცნობიერებთ ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ მნიშვნელობას. ჩვენი კორპორატიული პოლიტიკის მიხედვით ყველა თანამშრომელს უწევს სამართლიან და თანასწორ გარემოში მუშაობა და ეს პრინციპი ყველა რგოლში დაცულია.

ჩვენ ასევე შევიმუშავეთ კონფლიქტების ავტორიზაციის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ჩვენ ვაფასებთ ნებისმიერ პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტს კომპანიის მასშტაბით.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ანზორ მამულაძე -----

ნელი ზაქარაძე -----

29 იანვარი 2025 წელი

საქართველო, ბათუმი

გამოყენებული პოლიტიკის აღწერა

კომპანიაში დანერგილია და გამოიყენება სხვადასხვა პოლიტიკა რომელზეც ამ ანგარიშშიც იყო საუბარი.

აქტიურად გამოიყენება გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა, რომლის მიზანია გარემოზე მავნებელ ზემოქმედების რისკის მნიშვნელოვნად შემცირება.

კომპანიაში დანერგილია ე.წ. მამხილებელი (whistleblowing) და ანტიკორუფციული პოლიტიკა, რომლის მიზანია კორუფციის რისკების მინიმუმამდე შემცირება. მამხილებელი პოლიტიკის ფარგლებში თანამშრომელს აქვს საშუალება ანონიმურად დასვას საკითხი ნებისმიერ ბიზნესპროცესის გამართულობასა და სამართლიანობაზე. თითოეული შემთხვევა დეტალურად განიხილება და სამეთვალყურეო საბჭოს მიხედვით, ეს პოლიტიკა ეფექტურადაა დანერგილი კომპანიაში.

ჩვენ ვაცნობიერებთ ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ მნიშვნელობას. ჩვენი კორპორატიული პოლიტიკის მიხედვით ყველა თანამშრომელს უწევს სამართლიან და თანასწორ გარემოში მუშაობა და ეს პრინციპი ყველა რგოლში დაცულია.

ჩვენ ასევე შევიმუშავეთ კონფლიქტების ავტორიზაციის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ჩვენ ვაფასებთ ნებისმიერ პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტს კომპანიის მასშტაბით.

დირექტორი

ანზორ მამულაძე



მთავარი ბუღალტერი

ნელი ზაქარაძე

29 იანვარი 2025 წელი
საქართველო, ბათუმი